დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯი ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება")

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ალაგარდაშვილი

წევრები:

ია გელენიძე - დარგის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402022609**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 9 ივლისის №901741 ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განხორციელდა ვიზიტი 2026 წლის 24 ივლისს, შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში" (მის.: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №121).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი, წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებები ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება" დამატების შესახებ.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტის/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (A, B და C გარემო), აგრეთვე პროგრამის ,,საექთნო განათლების" განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი და ბიბლიოთეკის კატალოგი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან და შეფასდა ობიექტების მზაობა, ჩართულობა და მათი შესაბამისობა დადებულ ხელშეკრულებებთან.

ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლების წინაშე წარადგინა შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და გააცნო შესაძლო ხარვეზები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტების მიერ არ გამოვლენილა საუკეთესო პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. - პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (კვოტა) რიცხობრივად განსაზღვრული არ არის, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას მტკიცებულებებზე დაყრდნობით სრულად შეესწავლა პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა გამტარუნარიანობა და ხელშეკრულებით ნაკისრი მატერიალური რესურსის საკმარისობა, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.2.1.3 - პროგრმის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რომ 53 მასწავლებლიდან 21-ს გააჩნდა საერთაშორისო სერტიფიკატი, ხოლო დანარჩენებს, დაწესებულების განმარტებით, ჩაუტარდათ შიდა ენობრივი ტესტირება, რომლის შედეგადაც მხოლოდ 4 მასწავლებელმა დაადასტურა კოლეჯის წესით მოთხოვნილი B2 დონე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი შიდა ტესტირების ინსტრუმენტი და მისი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეესწავლა ტესტირების პროცესის სანდოობა, ასევე დარჩენილი 28 მასწავლებლის შედეგებთან დაკავშირებული გარემოებები, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებსა და აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.5 - ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ფონდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე მოდულისთვის „უცხო ენა საექთნო საქმეში“ მითითებული ლიტერატურა ინგლისურენოვანია და არ წარმოადგენს ამ მოდულისთვის შესაბამის უცხო ენის რესურსს, ხოლო მეორე უცხო ენის შესატყვისი მასალა ბიბლიოთეკას არ ჰქონდა, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებსა და აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.1.5 - კლინიკურ ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული, თითოეულ პრაქტიკის ობიექტს რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში ზეპირად განმარტეს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან სტუდენტთა კვოტაზე შეთანხმებულნი არიან, თუმცა შესაბამისი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებსა და აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

2.4.1.6 - დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში განაცხადეს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დარგობრივი უსაფრთხოების საკითხი მოწესრიგებულია, რასაც ვიზუალურად ადასტურებდა C სასწავლო გარემოში განთავსებული საინფორმაციო პლაკატები. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ დადასტურდა დაწესებულების მიერ დამტკიცებული დარგობრივი უსაფრთხოების წესების არსებობა - შესაბამისი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებსა და აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.**
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი ხასიათი განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების სრულყოფილი და დროული მომზადება/წარდგენა, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მტკიცებულებათა დაგვიანებით ან ვიზიტის შემდგომ წარმოდგენის შემთხვევები. რაც ექსპერტებს საშუალებას მისცემს სტანდარტთან შესაბამისობის ადეკვატური შეფასება განახორციელონ.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხარვეზები მე -2 სტანდარტის 2.1, 2.2 და 2.4 კომპონენტთან მიმართებით და შესაბამისად ასახა დასკვნის პროექტში ის ინდიკატორები, რომელებიც არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ დაწესებულებას აქვს თავისი ხედვა/ახსნა ხარვეზების წარმოშობასთან და არსებობასთან დაკავშირებით, თუმცაღა თითოეულ ხარვეზს ეთანხმება და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული გეგმა, შეაფასა გეგმაში მოცემული აქტივობების, ვადებისა და რესურსების რელევანტურობა იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან მიმართებით.

დამატებით უნდა აღინიშნოს 2.1 კომპონენტის ხარვეზთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო იმ გარემობით რომ დაწესებულებამ ექსპერტებს ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგინა აპლიკანტის ჩარიცხვის წესი და ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეესწავლათ აღნიშნული ინდიკატორის (2.1.1.2) შესაბამისობა. დაწესებულებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ჩარიცხვის წესი. ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და ინდიკატორი შეაფასეს სრულ შესაბამისად, დეტალურად აღწერილია ინდიკატორის აღწერის ველში. ამ კონკრეტული პრეცენდენტის გათვალისწინებით გაიცა ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, დაეყრდნო მათ მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას და თვლის, რომ სრულიად შესაძლებელია ზემოაღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა სტანდარტთა შესაბამისობის რეკომენდაციებად.

ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზების, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის და ექსპერტა ჯგუფის საბოლოო გადაწყვეტილების შემაჯამებელი ცხრილი

N	ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები	დაწესებულების მიერ ხარვეზებზე რეაგირება და არგუმენტირება	ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირების და შესაბამისობის გეგმის შესაბამისობა
2.2.1.1	პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (კვოტა) რიცხობრივად განსაზღვრული არ არის, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას	დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ აქტივობებს და ვადებს. აქვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	მტკიცებულებებზე დაყრდნობით სრულად შეესწავლა პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა გამტარუნარიანობა და ხელშეკრულებით ნაკისრი მატერიალური რესურსის საკმარისობა, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.	დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი".	უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ორი ხელშეკრულება უკვე დარედაქტრიებული აქვს და დაფიქსირებულია სტუდენტთა კვოტა, რომელსაც პრაქტიკის ობიექტი მიიღებს. ეს კვოტა ზუსტად შეესაბამება პრაქტიკის ობიექეტზე ზეპირსიტყვიერად დასახელებულ რაოდენობას რის მიხედვიდაც მოხდა ობიექტებზე რესურსის შესწავლა. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ ინდიკატორის შეფასებას - მეტწილი შესაბამისობა.
2.2.1.3	პროგრმის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რომ 53 მასწავლებლიდან 21-ს გააჩნდა საერთაშორისო სერტიფიკატი, ხოლო დანარჩენებს, დაწესებულების განმარტებით, ჩაუტარდათ შიდა ენობრივი ტესტირება, რომლის შედეგადაც მხოლოდ 4 მასწავლებელმა დაადასტურა კოლეჯის წესით მოთხოვნილი B2 დონე. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი შიდა ტესტირების ინსტრუმენტი და მისი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეესწავლა ტესტირების პროცესის სანდოობა, ასევე დარჩენილი 28 მასწავლებლის შედეგებთან დაკავშირებული გარემოებები, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.	დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. ექსპერტა ჯგუფი დაეყრდნო შესაბამისობის გეგმას. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი".	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და აქტივობებს.
2.2.1.5	ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ფონდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე მოდულისთვის „უცხო ენა საექთნო საქმეში" მითითებული ლიტერატურა ინგლისურენოვანია და არ წარმოადგენს ამ მოდულისთვის შესაბამის უცხო ენის რესურსს, ხოლო მეორე უცხო ენის შესატყვისი მასალა ბიბლიოთეკას არ ჰქონდა, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.	დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. ექსპერტა ჯგუფი დაეყრდნო შესაბამისობის გეგმას. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი".	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და აქტივობებს.
2.4.1.5	კლინიკურ ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული, თითოეულ პრაქტიკის ობიექტს რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში ზეპირად განმარტეს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან სტუდენტთა კვოტაზე შეთანხმებულნი არიან, თუმცა შესაბამისი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.	დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. ექსპერტა ჯგუფი დაეყრდნო შესაბამისობის გეგმას. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი".	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და აქტივობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ორი ხელშეკრულება უკვე დარედაქტრიებული აქვს და წარმოადგინა არგუმენტირებულ წერილთან ერთად. სადაც დაფიქსირებულია სტუდენტთა კვოტა, რომელსაც პრაქტიკის ობიექტი მიიღებს დანარჩენი ორი ხელშეკრულების მოწესრიგება გაწერილია შესაბამისობის გეგმაში. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

			დაწესებულების მიერ ინდიკატორის შეფასებას - მეტწილი შესაბამისობა.
2.4.1.6	დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში განაცხადეს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დარგობრივი უსაფრთხოების საკითხი მოწესრიგებულია, რასაც ვიზუალურად ადასტურებდა C სასწავლო გარემოში განთავსებული საინფორმაციო პლაკატები. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ დადასტურდა დაწესებულების მიერ დამტკიცებული დარგობრივი უსაფრთხოების წესების არსებობა - შესაბამისი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.	დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 2.09.2026 წ. ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო შესაბამისობის გეგმას. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და აქტივობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის ბრძანება 2026წ. 24 ივნისი, N180
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი აკ.წერეთლის გამზირი N121
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ში ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" დამატებისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებსა და მონაცემებს:

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N178 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ადგენს, რომ პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას, ხოლო პროგრამის დამატების გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს პირველად და/ან მეორად წყაროებზე დაფუძნებულ დასაბუთებას. ამავე მეთოდოლოგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად, პროგრამის დამატებაზე მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად.

პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია ადგენს პროგრამის შემუშავების ეტაპობრივ პროცესს: დაგეგმვის ეტაპი (ბაზრის კვლევა, შეხვედრები სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზი და კონსულტაცია ადმინისტრაციასთან); სამუშაო ჯგუფის შექმნა (დირექტორის ბრძანებით, დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების შემადგენლობით); პროგრამის პაკეტის ფორმირება (ძირითადი დოკუმენტი, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მოდულები); მიზანშეწონილობის დასაბუთება და სამინისტროსთან შეთანხმება; საბოლოო დამტკიცება დირექტორის ბრძანებით.

დირექტორის ბრძანების N245 საფუძველზე (ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო პროგრამის პაკეტის (ძირითადი დოკუმენტი, სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი) შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან შეთანხმება. საბოლოო პროექტი წარედგინა დირექტორს დასამტკიცებლად.

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მისიაში აღნიშნულია „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საექთნო საქმის მიმართულებით". სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-5 მიზანია „ინტერნაციონალიზაცია და პროფესიული პროგრამების განვითარება", ხოლო ამოცანა 5.1 - „შრომის ბაზრისა და დაწესებულების რესურსების შესაბამისი უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება და განხორციელება". ამოცანის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების უფლების მოპოვება".

პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისთვის გამოყენებულია ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები სამი წყაროდან:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025": ჯანდაცვის სექტორი ქმნის ქვეყნის დასაქმების 11%-ს; ბოლო წელს დასაქმება გაიზარდა 9%-ით; პროგნოზირებულია დამატებითი 5%-იანი ზრდა 5 წელში; დამსაქმებელთა 44% ასაქმებს პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს (ყველა სექტორს შორის უმაღლესი მაჩვენებელი); სექტორში დასაქმებულთა 13% მომდევნო 5 წელში საპენსიო ასაკს მიაღწევს.
- WHO-ს ანგარიში „ჯანდაცვის მოქმედი სისტემები - საქართველო": 2019 წელს 100 000 მოსახლეზე 542 ექთანი; ექიმი/ექთანი თანაფარდობა საქართველოში 0.8, ევროკავშირის საშუალო - 2.5, WHO ევროპის რეგიონისა - 2.3.
- Sida-ს 2022 წლის ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა: საქართველოში ერთ ექიმზე 0.9 ექთანი მოდის (შედარებისთვის - გერმანია, აშშ, ავსტრია).

დამატებით გამოყენებულია 2023 წლის შრომის ბაზრის კვლევა: 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა 51% ოთხ დარგზე მოდის, აქედან ყველაზე მეტი ჯანდაცვაზე (15%); ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 10% (78.1 ათასი ადამიანი) ჯანდაცვის სექტორშია დასაქმებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ განხილულია დამსაქმებელთა უკუკავშირი - კოლეჯის „ინგლისურენოვანი საექთნო განათლების პროგრამის საჭიროების კვლევის" ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობდა 4 კლინიკური დაწესებულება: საუნივერსიტეტო კლინიკა „ღია გული", გუგა სიხარულიძის მენტალური ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი, ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი, სს „ვიანი". წარმოდგენილია ამ დაწესებულებების ოფიციალური მხარდამჭერი წერილები: №128 (08/05/2026), №130 (11/05/2026), №129 (08/05/2026), №100 (28/04/2026).

დაწესებულებამ განახორციელა დასაქმების პლატფორმების ანალიზიც. სამინისტროს 2024 წლის შრომის ბაზრის კვლევის, HR.ge და Worknet.gov.ge მონაცემებზე დაყრდნობით: 2022 წელს ექთნებზე 597 ვაკანსია (HR.ge); 2023 წელს - 816 ვაკანსია (ზრდა 37%-ით); ექთნები მეორე ადგილზეა ვაკანსიების რაოდენობით ზოგადი პროფილის ექიმების შემდეგ (1346 ვაკანსია), ჯანდაცვის სპეციალისტების ვაკანსიების 21%; Worknet.gov.ge-ზე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ვაკანსიები 2021-2022 შორის გაიზარდა 93%-ით (492-დან 948-მდე).

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებში გამოყენებულია ორი წყარო: (ა) ეროვნული, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა - 2022 წლის კოჰორტაში პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა საერთო დასაქმება 81%-ს აღწევს, ჯანდაცვის მიმართულებაზე საკუთარი პროფესიით დასაქმება 44%-ია, ხოლო ჯანდაცვის რესპონდენტთა 55% აღნიშნავს კარიერულ დაწინაურებას; (ბ) კოლეჯის საკუთარი 2026 წლის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კვლევა.

დაწესებულების მიერ დაფიქსირებულია, რომ ინგლისურენოვანი საექთნო განათლების პროგრამა დღეის მდგომარეობით არცერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არ ხორციელდება საქართველოში. ადამიანური რესურსის კუთხით მითითებულია 53 პროფესიული მასწავლებელი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 18 მაისის №132 წერილი, რომლის თანახმად სამინისტრომ, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი განმარტებების, დასაბუთებისა და დარგობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია მე-5 საფეხურის პროგრამის „საექთნო განათლება" ინგლისურ ენაზე განხორციელების თანხმობის გაცემა.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტები და წარმოდგენილ იქნა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება და სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშო პროცესის ამსახველი მტკიცებულებები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ძირითადი დოკუმენტის თანახმად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. ეს არის ეროვნული ჩარჩო დოკუმენტის სავალდებულო მოთხოვნა. დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N183 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარებისა და მობილობის წესი“-ს ადგენს, რომ სტუდენტის სტატუსის მოპოვება ეფუძნება:

- საბაზო/საშუალო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ჩარიცხვის წესსა და პირობებს;
- ცენტრის (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში ან/და დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შერჩევაში (მოტივაციური გასაუბრება) მონაწილეობასა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვას მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ საკმარისი წინარე მომზადების მქონე აპლიკანტები მოიპოვებენ სტატუსს;
- პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იგივე წესი აჩვენებს, რომ კოლეჯს გააჩნია ჩამოყალიბებული მიდგომა იმ შემთხვევებისთვის, როცა აპლიკანტს არ უდასტურდება სწავლის ენის კომპეტენცია: რუსულ/აზერბაიჯანულ/სომხურენოვან ტესტირებაზე ჩარიცხული სტუდენტები სავალდებულოდ გადიან ქართული ენის მოდულებს (A2/B1) და მხოლოდ ამის დაძლევის შემდეგ იწყებენ ძირითადი პროგრამის სწავლას, ე.წ. „გარდამავალი (მომლოდინე)" სტატუსით. ეს მექანიზმი კონცეპტუალურად ადასტურებს კოლეჯის პრინციპს ენობრივი მზაობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი, ვიდრე სტუდენტი ჩაერთვება ძირითადი პროგრამის საკონტაქტო საათებში, თუმცა ეს ყოველივე კონკრეტულად ჩამოყალიბებულია ქართული ენის ფლობის მიმართ და არ არეგულირებს ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლების წინაპირობას.

დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დანართებით ექსპერტებს სრულად არ მიეცათ შესაძლებლობა შეესწავლათ კონკრეტულად ინგლისურენოვანი პროგრამისთვის აპლიკანტთა შერჩევის საკითხი. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტები: დამტკიცებული ინგლისურენოვანი საექთნო განათლების პროგრამა (ბრძანება N180, 24.06.2026) და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარებისა და მობილობის წესი (ბრძანება N183, 24.06.2026), არ ადგენს, რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს აპლიკანტმა ინგლისური ენის ფლობასთან მიმართებით საექთნო განათლების ინგლისურენოვან პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად. თუმცაღა ამავე წესში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარებისა და მობილობის წესი) დასახელებულია, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება განისაზღვრება ცალკე დოკუმენტით – „შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა აზუსტებდეს პროგრამაზე დაშვების კონკრეტულ წინაპირობებს, მათ შორის ენობრივი მოთხოვნების ჩათვლით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციასთან მოითხოვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დაარეგულირებდა, თუმცა დაწესებულებამ არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტი. შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესწავლა ინგლისურენოვან პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საკითხი და დაედგინა შესაბამისობა ინდიკატორთან, რის გამოც ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარვეზზე პასუხის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც, კოლეჯში მოქმედებს ჩარიცხვის საკითხების მომწესრიგებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შერჩევის პროცედურებს და რომლის საფუძველზეც, დაწესებულების პოზიციით, დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N151 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები", რომელიც დამტკიცებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ვიზიტამდე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების არგუმენტაცია, თითქოს აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის მიმდინარეობისას წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს, არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით (დაწესებულების მიერ დოკუმენტები იგზავნება ხარისხის ცენტრში და მხოლოდ ხარისხის ცენტრის მიერ ხდება ექსპერტებთან დოკუმენტების მიწოდება). ვიზიტის დასრულებამდე მოთხოვნილი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს დაწესებულების მოსაზრებას, თითქოს ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულების მხრიდან დადასტურების გარეშე, ევალებოდა დამოუკიდებლად მიემართა კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტისთვის და იგი მიეჩნია მოქმედ და საბოლოო რედაქციად. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა დაწესბულებას მისცა ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხარვეზზე პასუხის განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებაში მიიღო და შეისწავლა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი, ინდიკატორის შესაბამისი დოკუმენტი: „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები". დოკუმენტის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ჩარიცხვის წესის მე-5 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული პროცედურები უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას: კერძოდ, დაწესებულება უფლებამოსილია, შეფასების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების პარალელურად, დააწესოს შიდა შერჩევის დამატებითი მექანიზმები და თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ აპლიკანტთა შერჩევას, რომელთა მონაცემები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის ნაწილში კი წესი ითვალისწინებს სააპლიკაციო ფორმის შევსებას, გასაუბრებას და ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონის კომპეტენციის დადასტურებას ალტერნატიულ საშუალებათა (მათ შორის, საერთაშორისო სერტიფიკატის, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მიღებული შედეგის ან კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების) მეშვეობით. აღნიშნული პროცედურები, ერთობლიობაში, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა პროფილი შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, რითაც დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯს გააჩნია ინსტიტუციური, ორსაფეხურიანი მექანიზმი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის, რომელიც სრულად იქნა გამოყენებული ინგლისურენოვანი პროგრამის „საექთნო განათლება" შემთხვევაშიც. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N176 ბრძანებით დამტკიცდა განახლებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია ადგენს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორთა ერთობლიობას, მათ შორის: პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

- კლინიკური ბაზების რაოდენობა, პროფილურობა და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პერსონალი/სტუდენტთა თანაფარდობა;
- A, B და C სასწავლო გარემოების ტევადობა;
- მასწავლებელთან თანაფარდობა - არანაკლებ 1 მასწავლებელი 20 სტუდენტზე;
- პრაქტიკის ობიექტებთან პერსონალი/სტუდენტთა თანაფარდობა ჩარჩო დოკუმენტისა და ხელშეკრულებების შესაბამისად.

კონკრეტული პროგრამისთვის დაწესებულებამ გამოთვალა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. ზემოაღნიშნული ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებულია ცალკე დასაბუთების დოკუმენტი „ინგლისურენოვან პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება საექთნო განათლება“ (2026 წ.), რომელიც პირდაპირ ეფუძნება N176 ბრძანებას, როგორც თავის სამართლებრივ საფუძველს. დოკუმენტში მოცემულია კონკრეტული, კოოპერაციულ მიდგომაზე დაფუძნებული გაანგარიშება:

- A სასწავლო გარემოში - სამუშაო ადგილი 70 პროფესიული სტუდენტისთვის;
- B სასწავლო გარემო - 25 სამუშაო ადგილი სტუდენტისთვის
- C სასწავლო გარემოში - სამუშაო ადგილი 70 პროფესიული სტუდენტისთვის (როტაციული პრინციპით);
- მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა დათვლილია 15-20 სტუდენტზე ჯგუფში (ჯამურად 70 სტუდენტზე).
- დარგის კვალიფიციური მასწავლებლები - 53 დარგის სპეციალისტი.

კოლეჯს, არსებული ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და კვალიფიციური კადრების გათვალისწინებით, შეუძლია მიიღოს 70 პროფესიული სტუდენტი ინგლისურენოვან პროგრამაზე „საექთნო განათლება“. დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N180 ბრძანებით საბოლოოდ დამტკიცდა თავად პროგრამა, მოდულებით, სასწავლო გეგმით, ადამიანური და მატერიალური რესურსით, ხელმძღვანელით და წლიური 5300 აშშ დოლარის საფასურით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დამტკიცებული პროგრამა (ბრძანება N180, 24.06.2026) მოიცავს მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროგრამის სტანდარტთან და უზრუნველყოფს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მატერიალური რესურსი განსაზღვრულია თითოეული მოდულისთვის და დამტკიცებულია შესაბამისი დანართით, რაც უზრუნველყოფს რესურსის კონკრეტულ მოდულთან მიმართებას და თანხვედრას. ასევე, საგანმანათლებლო რესურსი გათვალისწინებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა კლასიფიცირებული მოდულისთვის: ზოგადი მოდულები, საბაზო მეცნიერებები, თეორიული სწავლება საექთნო საქმეში, თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებაში, პრაქტიკული სწავლება, კლინიკური სწავლება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პსდ მიერ დამტკიცებული პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პსდ დირექტორის მიერ 2026 წლის 24 ივნისის N178 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც არის კოლეჯის დირექტორი, და აღნიშნული პროგარმა ,,საექთნო განათლება“ (ინგლისურ ენოვანი პროგრამა) დამტკიცებული დირექტორის 2026წ. 24 ივნისის ბრძანებით N180.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის" დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №180 ბრძანებით დამტკიცებულია ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება"/„Nursing", რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საექთნო განათლება/Nursing" (სარეგისტრაციო №09109-პ, დამტკიცებულია 21.05.2018, ბოლო ცვლილებება15.09.2021) საფუძველზე, ქართულენოვანი პროგრამის ბაზაზე.

პროგრამის დასახელება, როგორც ქართულ (,,საექთნო განათლება"), ისე ინგლისურ (,,Nursing") ვერსიებში, სრულად ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტში მითითებულ დასახელებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში"/„Higher Vocational Qualification in Nursing" (განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) დეტალური სფერო „საექთნო და სამეანო საქმე", კოდი 0913). აქედან გამომდინარე პროგრამის სახელი არარის შეცდომაში შემყვანი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება"/„Nursing" შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საექთნო განათლება/Nursing" (სარეგისტრაციო №09109-პ) საფუძველზე.

დამტკიცებული პროგრამით (შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის" დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №180 ბრძანების №1 დანართი) განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სასწავლო შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ისევე როგორც კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართულობის მექანიზმები.
საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში, პროგრამის ძირითადი დოკუმენტის გარდა, ცალკე დანართების სახით განთავსებულია პროგრამის მოდულები (№2 დანართი), სასწავლო გეგმა (№3 დანართი), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი (№4 დანართი) და საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (№5 დანართი).

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის (№3 დანართი) შესწავლით დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულები სრულად და ზუსტად არის ადაპტირებული ინგლისურ ენაზე - მოდულების დასახელებები, რაოდენობა და თითოეულ მოდულზე გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა სრულად ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტში მოცემულ მონაცემებს (ჯამში 180 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტს (90 კრედიტი, სრული მოცულობის ნახევარი). სწავლის პროცესის ხანგრძლივობა შეადგენს 134 სასწავლო კვირას (I წელი - 45, II წელი - 45, III წელი - 44 კვირა), რაც აკმაყოფილებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის მინიმალურ მოთხოვნას (არანაკლებ სამი წელი, სრული დატვირთვით).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები (მაგალითად, კლინიკური პრაქტიკის მოდულებზე დაშვება მოითხოვს შესაბამისი თეორიული საფუძვლების მოდულისა და „ავადმყოფის მოვლის" მოდულის წინასწარ გავლას) და გათვალისწინებულია დამატებითი კვირები სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არცერთ ეტაპზე არ აღემატება 40 საათს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.1.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N178 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია".
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 8 მაისის ბრძანება N245 - ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი - დანართი 4
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 18 მაისის №132 წერილი (პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელების თანხმობა);
- დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N183 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარებისა და მობილობის წესი".
- დირექტორის 2026 წლის 23 ივნისის N176 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია".
- „ინგლისურენოვან პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება საექთნო განათლება". დანართი 11.
- დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N180 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება"/„Nursing", მისი მოდულები (№2 დანართი), სასწავლო გეგმა (№3 დანართი), განმახორციელებელი ადამიანური რესურსი (№4 დანართი) და მატერიალური რესურსი (№5 დანართი) - დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელი და წლიური საფასურის განსაზღვრა.
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.
- დაწესებულების არგუმენტირებული წერილი - N269, 02.09.2026 და დანართი 1.2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N151 ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამა „საქართველო განათლება“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად მოიცავს 180 კრედიტს. დანართი N2-ის თანახმად, საჭირო რესურსი განაწილებულია სასწავლო გარემოების მიხედვით შემდეგნაირად:

<u>A/B გარემო – თეორიული სწავლება</u>

თეორიული მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი) – 1 კომპლექტი სტუდენტზე (78), მასწავლებლის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი – თითო ერთეული 13 სასწავლო გარემოზე; მასალები;

<u>B გარემო – საინფორმაციო ტექნოლოგიები</u>

მოდულისთვის „საინფორმაციო ტექნოლოგიები საქართველო საქმეში“ გათვალისწინებულია: სტუდენტის სამუშაო ადგილი (14/33 სტუდენტზე), მასწავლებლის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი მასწავლებლისთვის და სტუდენტებისთვის (20-ზე), დაფა, პროექტორი, პრინტერი (კომბაინი), ფლეშ-მეხსიერება; მასალები;

<u>C გარემო – შინმოვლა</u>

სიმულაციური ინვენტარი მოიცავს: ფონენდოსკოპი, სასწორი, სიმაღლის საზომი, თერმომეტრი, სფიგმომანომეტრი, შშმ პირის ეტლი და ღამის ქოთანი, ყავარჯენი, ფუნქციური საწოლი, სუდნო, შარდმიმღები, სასადილო ინვენტარი, სავარჯიშო სპირომეტრი, ქირურგიული/ანატომიური პინცეტები და სხვ.

<u>C/A გარემო – ავადმყოფის მოვლა</u>

მოდულისთვის გათვალისწინებულია საკლასო ინვენტარი (როგორც A გარემოში) და, ამასთანავე, იგივე მოცულობის სამედიცინო ინვენტარი და ერთჯერადი მასალები, რაც შინმოვლის მოდულისთვისაა მითითებული.

კლინიკური ბაზა – კლინიკური სწავლების მოდულები (90 კრედიტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14 კლინიკური მოდულისთვის დანართი N2 ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე არსებულ რესურსს: ლარინგოსკოპი, შოკის მაგიდა, სასწორი, სასანაციო მოწყობილობა, პეისმეიკერი (კარდიოლოგია/რეანიმაცია), ხელოვნური სუნთქვის აპარატი (რეანიმაცია/შოკის დარბაზი/ინტენსიური), სანარკოზე აპარატი, საინფუზიო პამპები და ინფუზომატი, პულსოქსიმეტრი, კარდიოგრაფი, პარენტერალური კვების პამპი, პაციენტის მონიტორი, კარდიოტოკოგრაფი, დეფიბრილატორი, გლუკომეტრი, ჟანგბადის ბალონი, თორაკალური დრენაჟი, ექსპრესლაბორატორიის აპარატურა, კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი; ერთჯერადი მასალები – დამცავი სათვალე, პირბადე, მუშამბის წინსაფარი, არასტერილური ერთჯერადი ხალათი, ხელთათმანი, ანტირადიაციული წინსაფარი (შესაბამის განყოფილებაში) და მედიკამენტები საჭიროებისამებრ.

ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა სივრცეში დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა ზემოთ აღწერილი A, B და C გარემოების ინვენტარით უზრუნველყოფა. A სასწავლო გარემოს 4 აუდიტორია (, N3 – 20 სტუდენტზე; N4-15 სტუდენტზე ; N5 – 20 სტუდენტზე გათვლილი; N1 - A /C სასწავლო გარემოს აუდიტორია (15 - სტუდენტზე გათვლილი)); B - გარემოს აუდიტორია (N2- 25 სტუდენტზე). ასევე ცალკე, C გარემო წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეალურ გარემოსთან მიახლოვებული: ზოგადი პროფესიული, გადაუდებელი და კრიტიკული საექთნო მართვის მოდულების, ასევე შინმოვლის მოდულის განხორციელებისათვის სრულად შესაბამისობაში, როგორც მოზრდილთა სიმულაციური სწავლებისთვის ასევე პედიატრიული (ნეონატალურის ჩათვლით) სიმულაციური სწავლებისთვის; დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ კლინიკურ ბაზებზე სიმულაციური სწავლებისთვის საჭირო C გარემოს ნაწილობრივ გატანა მოხდება, რაც ექსპერტების მიერ პარტნიორ კლინიკებში ვიზიტისას დადასტურდა.

ვიზიტის დღეს, დღის მეორე ნახევარში ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები. ვიზიტი და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან გასაუბრება განხორციელდა შერჩევითი პრინციპით შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ სს „ღია გული საუნივერსიტეტო კლინიკა“, შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქი“ და შპს „მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევის ცენტრი“ თითოეული წარმოადგენს კონკრეტულ, ცალკეულ საავადმყოფო-კლინიკას განსაზღვრული საწოლფონდით, მაშინ როდესაც სს „ვიანი“ არის ქსელი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის მიერ მოთხოვნილი 70 სტუდენტის მიღება შესაძლებელია ქსელში შემავალი ნებისმიერი კლინიკის ნებისმიერ პროფილურ განყოფილებაში.

დაწესებულებასთან გაფორმებული ოთხივე ხელშეკრულების და მათი დანართების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დოკუმენტებში მოცემულია კლინიკური სწავლების მოდულების ჩამონათვალი, საათების/კრედიტების რაოდენობა, დეპარტამენტი (კლინიკური ბაზა) და კლინიკურ სწავლებაზე პასუხისმგებელი პირი (ინსტრუქტორი) და მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების ფარგლებში დაფიქსირდა შემდეგი:

- შპს „ღია გული საუნივერსიტეტო კლინიკა“ - ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა 50 სტუდენტის ერთდროული მიღების შესაძლებლობა, ორ ცვლაში;
- შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქი“ - შეფასდა სიმულაციური გარემო (C) და კლინიკური სერვისების სალიცენზიო დოკუმენტაცია, კლინიკამ მზაობა გამოთქვა 70 სტუდენტის მიღების, 1/7 პრაქტიკის ობიექტზე ინსტრუქტორის რაოდენობით.
- შპს „მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევის ცენტრი“ - სატელეფონო გასაუბრებით დადასტურდა 20 სტუდენტის ერთდროული მიღების შესაძლებლობა, ორ ცვლაში;

სს „ვიანი“ - როგორც ქსელი, პარტნიორი ორგანიზაცია ხელშეკრულების ფარგლებში იღებს ვალდებულებას ქსელში შემავალი ნებისმიერი დაწესებულების რესურსით სარგებლობის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული ვიზიტის/გასაუბრების შედეგად დაადგინა სრული შესაბამისობა, გარდა ერთი გარემოებისა, რომელიც ინდიკატორ 2.4.1.5-თან მიმართებითაც გახდა ხარვეზის საფუძველი. კერძოდ, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (კვოტა) რიცხობრივად განსაზღვრული არ არის, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას მტკიცებულებებზე დაყრდნობით სრულად შეესწავლა პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა გამტარუნარიანობა და ხელშეკრულებით ნაკისრი მატერიალური რესურსის საკმარისობა, რის გამოც ამ ნაწილშიც დაფიქსირდა ხარვეზი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 02.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს. მითუმეტეს რომ დაწესებულებას უკვე გადაგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები და ორ პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში აღმოფხვრილია ხარვეზი და დაფიქსირებულია სტუდენტთა კვოტა. კვოტა სრულად შეესაბამება ექსპერტებთან ზეპირსიტყვიერად დაფიქსირებულ კვოტას, რის მიხედვითაც მოხდა ობიექტზე რესურსის შემოწმება და შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტილად დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პსდ მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას შემდეგი გარემოებებით;

- პროგრამას ჰყავს 53 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც ერთობლივად ფარავენ პროგრამის ყველა თეორიულ და კლინიკურ მოდულს ანატომია-ფიზიოლოგიიდან და ბიოქიმიიდან დაწყებული, კლინიკური/შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულებით დამთავრებული. ყველა მოდულს ყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი.
- მასწავლებელთა დატვირთვა თანაბრადაა გადანაწილებული: ნაწილი ასწავლის ერთ ვიწრო სპეციალიზებულ მოდულს ეს განაწილება არ ქმნის გადატვირთულობის რისკს და საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ურთიერთშენაცვლება მონათესავე მოდულებში.
- კლინიკური სწავლების (90 კრედიტი, პროგრამის ნახევარი) მოთხოვნებთან - კერძოდ, ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირისა და სტუდენტების 1/7 თანაფარდობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა პირადი საქმეების შესავლა და ჩატარდა ინტერვიუ პროგრამის განამახორციელებელ პირებთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამაზე დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა (სულ 53 პირი) საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის" მიერ დამტკიცებული „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების წესით" (დანართი N1, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 02 ივლისის N194 ბრძანებით).

ამ წესის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლად დასაქმებას განაპირობებს ერთ-ერთი ალტერნატიული მოთხოვნის დაკმაყოფილება: შესაბამისი სწავლის შედეგების შესატყვისი უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაცია, ან ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე 3-წლიანი დადასტურებული სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. კანდიდატთა პირადი საქმეების შესწავლისა და ინტერვიუს ჩატარების შედეგად დადასტურდა, რომ ყველა 53 მასწავლებელი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

დასახელებული წესი ასევე არეგულირებს დაწესებულებაში პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის საკითხს. მოთხოვნების შესაბამისად, ინგლისურენოვანი პროგრამის/მოდულის განხორციელების შემთხვევაში მასწავლებელს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, რაც შესაძლებელია ორი გზით: საერთაშორისო სერტიფიკატის წარდგენით ან კოლეჯის მიერ განხორციელებული შიდა ტესტირებით (0-60 ქულა, CEFR-თან თავსებადი სისტემა, მე-4 მუხლი). მე-4 მუხლის თანახმად, ინგლისური ენის B2 დონე მოეთხოვებათ იმ მასწავლებლებს, რომლებიც ახორციელებენ თეორიულ სწავლებას, ხოლო მხოლოდ პრაქტიკული/კლინიკური კომპონენტის (პრაქტიკის ობიექტზე) განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის საკმარისია B1 დონის დადასტურება.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი პერსონალის პირადი საქმეებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის გამოცდის შედეგების ცხრილის მიხედვით დადგინდა, რომ 53 მასწავლებლიდან 21-ს გააჩნდა საერთაშორისო სერტიფიკატი B2-C1 დონეზე, რაც წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად ათავისუფლებდა მათ შიდა ტესტირების ვალდებულებისგან. დანარჩენ მასწავლებლებს, დაწესებულების განმარტებით, ჩაუტარდათ კოლეჯის შიდა ენობრივი ტესტირება, რომლის შედეგადაც, წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, მხოლოდ 4 მასწავლებელმა დაადასტურა B2 დონე (40-60 ქულა).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა შიდა ტესტირების ინსტრუმენტი და მისი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა დაწესებულებამ არ წარმოდგინა. აღნიშნულის გამო, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეესწავლა შიდა ტესტირების პროცესის სანდოობა და მისი შესაბამისობა კოლეჯის საკუთარ წესთან, ასევე დარჩენილი მასწავლებლების შედეგებთან დაკავშირებული გარემოებები, რის გამოც ამ ნაწილში ხარვეზი დაფიქსირდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგინილი არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც, შიდა ტესტირების ინსტრუმენტი და მისი ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არსებობდა და შესაბამისი განმარტებაც გაკეთდა, თუმცა, დაწესებულების მითითებით, აღნიშნული ექსპერტთა მიერ საკმარისად არ იქნა მიჩნეული. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი"-ს დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N150 ბრძანებით დამტკიცებული ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების ფორმა, 2026 წლის 02 ივლისის N194 ბრძანებით დამტკიცებული ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების ტესტი, აგრეთვე 2026 წლის 21 მაისს შედგენილი ტესტის ვალიდაციის დასკვნა და ვალიდაციის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ყველა ეს დოკუმენტი დათარიღებულია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე.

აღსანიშნავია ერთი გარემობა, (გარემობა რომელიც 2.1.1.2 ინდიკატორთანაც დაფიქსირდა) რომ დაწესებულების არგუმენტაცია, თითქოს ექსპერტთა ჯგუფმა საკმარისად არ ჩათვალა წარმოდგენილი დოკუმენტაცია/განმარტება, არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით. კერძოდ, ექსპერტის მხრიდან ვიზიტის ფარგლებში გაკეთდა მხოლოდ სიტყვიერი რჩევა იმის თაობაზე, რომ მომავალში ანალოგიური ტიპის ტესტირება განხორციელებულიყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე სხვა, დამოუკიდებელ ცენტრში რაც დაწესებულებას გამოცდის სანდოობის კუთხით თავიდან აარიდებდა სხვადასხვა გამოწვევას. აღნიშნული სიტყვიერი რჩევა არ და ვერ წარმოადგენდა ტესტირების ინსტრუმენტის ან ვალიდაციის დოკუმენტაციის საკმარისობის შესახებ ფორმალურ დასკვნას და არც ეხებოდა ხარვეზის იმ არსს, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას მოთხოვნილი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის საერთოდ არ წარმოდგენილა, რაც ვიზიტის პერდიოდში სამგის მოხდა დოკუმენტების ჩამონათვალის გაკეთება რაც დაწესებულებას უნდა წარმოედგინა. მითუმეტეს იმ გარემოების დროს, რომ დაწესებულებას თავად აქვს უფლება განსაზღვროს რა ფორმით და გზებით უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი პროგრამისთვის ისეთი მასწავლებლების მიღებას ვისაც ენის კომპეტენცია უდასტურდება.

ამასთან დაკავშირებით, ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი ტესტირების დოკუმენტები და შედეგების უწყისის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სულ 40 შეფასებული პირიდან, B2 დონე დაადასტურა 12-მა პირმა მათგან 8 ადამიანი არის ადმინისტრაციის წევრი. ხოლო დანარჩენმა 28 პირმა მიაღწია მხოლოდ B1 ან A1-A2 დონეს, რაც შეესაბამება ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტში წარმოდგენილ აღწერას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი და წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 02.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და აქტივობების განხორციელებისთვის ჩართული ყავს სხვა დამოუკიდებელი მხარე - International House Tbilisi-დან მოწვეული, შესაბამისი კომპეტენციის პედაგოგი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრულია დარგის წარმომადგენელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი კომპეტენცია როგორც დარგობრივი, ისე სწავლებისა და შეფასების კუთხით, ასევე მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის მეშვეობით როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კოლეჯს“ 2026 წლის 17 ივნისის N165 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლის საფუძველზეც ბიბლიოგრაფიული ფონდი მოიცავს პროგრამის სავალდებულო სასწავლო ლიტერატურას, დამხმარე მასალას და მასწავლებელთა სახელმძღვანელოებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ბიბლიოთეკართან გასაუბრებისა და ელექტრონული პლატფორმის დათვალიერების გზით დაადგინეს, რომ ფონდი მუდმივად განახლდება და უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის რესურსებზე უწყვეტ წვდომას. პლატფორმა ასევე იძლევა ლიტერატურის ელექტრონული მოთხოვნისა და გამოყენების მონიტორინგის შესაძლებლობას.

მოდულებში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდთან შესაბამისობა ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეამოწმეს შემდეგ მოდულებზე:

1. **ანატომია-ფიზიოლოგია** - ლიტერატურა: Bruce Colbert et al., *Anatomy and Physiology for Nursing and Health Professionals* (2009); დადასტურდა ელექტრონულ ბაზაში მისი არსებობა და ხელმისაწვდომობა.
2. **კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა** - ლიტერატურა: Linda D. Urden et al., *Critical Care Nursing: Diagnosis and Management*, 8th ed.
3. **ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა** - ლიტერატურა: Doenges et al., *Nursing Care Plans* (8th ed., 2010) და Lewis et al., *Medical-Surgical Nursing* (9th ed.).

ყოველ ზემოაღნიშნულ მოდულში ასევე მითითებულია განმარტება პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის/კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის მიერ მომზადებული სალექციო კურსის შესახებ, რაც გასაუბრებით დადასტურდა: განმახორციელებლები სავალდებულო სასწავლო მასალის პარალელურად იყენებენ საკუთრივ შემუშავებულ მასალას, რომელსაც კლინიკური სპეციფიკის მიხედვით მუდმივად ავითარებენ.

ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში მოდული „უცხო ენა საექთნო საქმეში“ გულისხმობს ინგლისურისგან განსხვავებული უცხო ენის სწავლებას, ვინაიდან ინგლისური ენა თავად წარმოადგენს პროგრამის სწავლების ენას. ბიბლიოთეკაში დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოგრაფიულ ფონდში მითითებული ლიტერატურა („English for Nursing 1“) ინგლისურენოვანია და ფაქტობრივად არ წარმოადგენს ამ მოდულისთვის შესაბამის უცხო ენის რესურსს, ხოლო რეალურად მოთხოვნადი მეორე უცხო ენის შესატყვისი მასალა ბიბლიოთეკას არ ჰქონდა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით დააფიქსირა ხარვეზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 02.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის და დანართად წარმოდგენილი მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის" ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება" სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა სასწავლო რესურსებთან წვდომა უზრუნველყოფილია როგორც დამტკიეებული პროგრამის დოკუმენტით, ისე კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

დამტკიცებული პროგრამის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, ხოლო კრედიტი ენიჭებათ მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების ფაქტობრივი დადასტურების შემთხვევაში, კვალიფიკაცია კი - ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი ზოგადი წესით. ეს ქმნის სამართლებრივ საფუძველს იმისთვის, რომ სსსმ/შშმ სტუდენტმა შეძლოს პროგრამაში ჩართვა და შესაბამის რესურსებზე წვდომა, სტანდარტული სტუდენტებისგან განსხვავებული ტემპითა და პირობებით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საკითხებს. კონკრეტულად კი აწესრიგებს სასწავლო რესურსებზე ადაპტირებულ წვდომას:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ამუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზეა მორგებული და აღწერს მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს
- კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, რაც მოიცავს რესურსების **შინაარსობრივ ან ვიზუალურ ადაპტირებას** (მაგალითად, შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი აღმოაჩენს, რომ სსსმ/შშმ სტუდენტი ვერ ახერხებს სწავლის შედეგების დადასტურებას, სასწავლო დეპარტამენტი დაკვირვების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სტუდენტის ასისტენტთან ერთად, 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს პროგრამის/მოდულის **მოდიფიკაციას** (მისაღწევი შედეგების თვისობრივ/რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან **აკომოდაციას** (სწავლებისა და შეფასების მიდგომების ცვლილებას, მისაღწევი შედეგების უცვლელად დატოვებით), რითაც აზუსტებს კონკრეტულ სტუდენტზე მორგებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას
- გეგმა სავალდებულოა შეთანხმდეს პროფესიულ სტუდენტთან და დადასტურდეს მისი ხელმოწერით; შეუთანხმებლობის შემთხვევაში გეგმა თავიდან მუშავდება.

პსდ მარეგულირებელი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტს კოლეჯში აქვს ინსტიტუციურად გარანტირებული, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროებისამებრ ადაპტირებულია მისი კონკრეტული საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად (მათ შორის, ვიზუალური/შინაარსობრივი ადაპტირებით, დამხმარე ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით).

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“ დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N180 ბრძანებით დამტკიცდა ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მისი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური (N4 დანართი) და მატერიალური (N5 დანართი) რესურსები. ბრძანების მე-7 პუნქტით პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური განისაზღვრა 5300 აშშ დოლარის ოდენობით.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის (N3 დანართი) მიხედვით, რენტაბელობის ზღვარი არის 15 პროფესიული სტუდენტი, გაწერილია პროგრამის წლიური საპროგნოზო შემოსავალი. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურება, კლინიკური ბაზების მომსახურების ხარჯი და ოპერაციული ხარჯები. საპროგნოზო შემოსავალი აღემატება საპროგნოზო ხარჯებს რაც უზრუნველყოფს პროგრამის ბიუჯეტის დადებით ბალანსს და მისი განხორციელების ფინანსურ მდგრადობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.2.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დამტკიცებული პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანართი 11. კონკრეტულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება განხორციელების ყველა ფორმის ან და მიდგომის შესაბამისად
- პერსნალის პირადი საქმე
- დანართი 13 საპროგნოზო ბიუჯეტი
- დანართი 2 მატერიალური რესურსი
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ვიზიტის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დირექტორის ბრძანება N268 02.09.2026

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში პროგრამის შეფასების მექანიზმი სისტემურად ითვალისწინებს შიდა შეფასების ასპექტებს. კერძოდ, „ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ (დანართი N1) თანახმად, კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას და ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას, რაც უზრუნველყოფს, რომ კოლეჯი ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს; საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგებსაც და იზიარებს საუკეთესო ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე უახლესი კვლევების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს მიდგომა თანხვედრაშია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგისთან“, სადაც აღნიშნულია, რომ პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შესაძლოა ეფუძნებოდეს, სხვა წყაროებთან ერთად, საერთაშორისო პრაქტიკას, რომელსაც გაეცნობა დაწესებულება და მიიჩნევს, რომ მისი დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს. ამასთან, ინფორმაცია გაუმჯობესებისთვის მიიღება როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან (რომელიც სწავლების ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას), ისე პროფესიული სტუდენტებისგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული , რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ინტეგრირებას შეფასების პროცესში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს; ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელთა პროცედურებიც რეგულირდება ამავე წესის (მეთოდოლოგიის) შესაბამისად.

ამასთან, დოკუმენტი აღწერს პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებს: მონაცემების შეგროვება (პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით), მონაცემების დამუშავება/ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა პირების მონაწილეობით, და საბოლოოდ რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა.

ამ პროცესს ავსებს „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს ჩატარებული შეფასებების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს; მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2. 3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. დამტკიცებულია შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N178 ბრძანებით (ბრძანება № 178, 24/06/2026).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის წესი - დამტკიცებულია შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N163 ბრძანებით (ბრძანება № 163, 17/06/2026).
- ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ განხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N180 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო გეგმის (დანართი N3) შესაბამისად. სასწავლო გეგმა შედგენილია სამი აკადემიური წლის მიხედვით (I, II და III წელი), თითოეული მოდულისთვის ცალკე ცხრილში მითითებულია: მოდულის ნომერი და დასახელება, წინაპირობა, კრედიტების რაოდენობა, საათების ჯამური მოცულობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის ჩათვლით) და კვირების მიხედვით გადანაწილება (მათ შორის, გადაბარების კვირების მითითებით). გეგმა სრულად ემთხვევა პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (დანართი N1) განსაზღვრულ მოდულურ სტრუქტურასა და კრედიტების საერთო მოცულობას (180 კრედიტი: ზოგადი მოდულები - 9, საბაზო მეცნიერებები - 24, თეორიული სწავლება საექთნო საქმეში - 45, სოციალური მეცნიერებები - 6, პრაქტიკული სწავლება - 6, კლინიკური სწავლება - 90):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I წელი - საბაზისო/შესავალი თეორიული მოდულები (მაგ. ანატომია-ფიზიოლოგია - 10 კრედიტი/250 სთ, მიკრობიოლოგია - 4 კრედიტი/100 სთ, ბიოქიმია - 4 კრედიტი/100 სთ, ჰისტოლოგია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომუნიკაცია, დოზირების პრინციპები, ფარმაკოლოგია, ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა და სხვ.), რომელთა დაძლევაც შემდგომი მოდულების წინაპირობაა;

II წელი - საექთნო მართვის საფუძვლების მოდულები (თერაპიული, ქირურგიული, პედიატრიული, სამეანო-გინეკოლოგიური, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა), რომელთა პარალელურად, წლის მეორე ნახევრიდან, პირველად იწყება შესაბამისი კლინიკური პრაქტიკის მოდულები (მაგ. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, 11 კრედიტი/275 სთ);

III წელი - მთლიანად ეთმობა დარჩენილი კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის მოდულების გავლას (კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა - 12 კრედიტი/300 სთ, სამეანო-გინეკოლოგიური, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და მათი შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის მოდულები).

თითოეული მოდულის წინაპირობათა სისტემა (მაგ., „კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“ შესაძლებელია მხოლოდ „ავადმყოფის მოვლისა“ და „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების“ დაძლევის შემდეგ) უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დანართი N2 დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N183 ბრძანებით) თანახმად, კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს სასწავლო დეპარტამენტის მიერ, პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად, შედგენილი საგაკვეთილო განრიგის მიხედვით.

სასწავლო პროცესის წარმათვის პროცესში დაწესებულება იყენებს კალენდარულ გეგმებს, რომელსაც ადგენენ ერთი თვით ადრე, საჭიროების შემთხვევაში ცვლიან თარიღებს რომ სწავლის შედეგი იყოს მიღწეული ყველა სტუდენტეთან მათი საჭიროებების გათვალისწინების მიზნით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი N2, დირ. ბრძანება N183/24.06.2026) შეიცავს რიგ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის სტუდენტზე ორიენტირებულ და მოქნილ ორგანიზებას. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში, კვირაში მაქსიმუმ 30-40 ასტრონომიული საათის ფარგლებში, ხოლო ყოველდღიური დატვირთვა არ აღემატება 8 საკონტაქტო საათს; თუ პარალელურ ჯგუფებში ჯამში 5 სტუდენტამდე დარჩება, დირექცია უფლებამოსილია გააერთიანოს ჯგუფები, იმ პირობით, რომ ეს არ გააუარესებს სტუდენტის მდგომარეობას. სტუდენტს გაცდენა ეთვლება საპატიოდ საერთაშორისო სპორტულ/სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ოჯახური გარემოებების გამო. სტუდენტს, განცხადების საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს დროებითი გათავისუფლება როგორც 10 დღემდე, ისე 10 დღეზე მეტი ვადით. საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის, სსსმ/შშმ სტუდენტისთვის, სტატუსაღდგენილი სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილების ან მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის) მუშავდება ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გეგმა. შეფასების, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების შედეგებზე პრეტენზიის/აპელაციის წარდგენისა და ვადებში განხილვის კონკრეტული პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების სწრაფ და სამართლიან დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფენ სტუდენტთა მუდმივ კონსულტირებას, ხოლო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტთა ადაპტაციასა და ინფოტურით კოლეჯის სერვისების გაცნობას. სტუდენტთა აქტივობის, სწავლის შედეგებისა თუ საზოგადოებრივი ღვაწლის მიხედვით გათვალისწინებულია წახალისების სხვადასხვა ფორმა, სწავლის საფასურისგან გათავისუფლების ჩათვლით. დაწესებულებას აქვს ქართულ ენოვანი პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების და მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით განხორციელებული აქვთ საინტერესო პროექტი პრაქტიკული სწავლების მიზნით, „კლაიპედას საუნივერსიტეტო კლინიკაში“ (ქ. კლაიპედა, ლიეტუვა) ერთთვიანი მობილობის/ვიზიტის უზრუნველყოფით, რაც მიზნად ისახავდა პროფესული კვალიფიკაციის მიღების პროცესის ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების გაღრმავებასა და საერთო გამოცდილების გაზიარებას. დამატებით, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კოლეჯს დანერგილი აქვს საკუთარი სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა - student.college.dtmun.ge, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ადმინისტრაციას, მასწავლებელსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციას, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესში სტუდენტთა ინტერესების გამოვლენას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროგრამული გადანაწილების შესაბამისად, სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი თანამედროვე ფორმები:

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching) - რეალურ სამუშაო/კლინიკურ გარემოში სწავლება პაციენტთან უშუალო კონტაქტში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და კვალიფიციური ექთნების ზედამხედველობით;
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება - რასაც ადასტურებს პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (დანართი N2/N5), სადაც ცალკე მითითებულია ზედა კიდურის მულაჟი (პერიფერიული ვენის კათეტერიზაციისთვის), მენჯის მულაჟი (ქალის/კაცის გენიტალიების, შარდსადენის, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობით), მანეკენი და სხვ.;
- პაციენტისა და ექთნის როლების შესრულება (როლური თამაშები);
- პრეზენტაცია.

ამასთანავე, პროგრამის დოკუმენტის კლინიკური სწავლება წარმოადგენს ექთნის მომზადების იმ ნაწილს, სადაც სტუდენტი უკვე შეძენილი ცოდნით რეალურ პაციენტებთან/თემთან უშუალო კონტაქტში ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს დარგის რეალურ, თანამედროვე კლინიკურ ტექნოლოგიებთან/მოწყობილობასთან შეხებას.

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა დასტურდება პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ჩამონათვალით, რომელშიც სასწავლო გარემოებისთვის (A/B/C) და კლინიკური ბაზისთვის გათვალისწინებულია კომპიუტერები, პროექტორები - დემონსტრირების ციფრული საშუალებები, ფიზიოლოგიური და რინგერის ხსნარები, გლუკომეტრები, პულსოქსიმეტრები, ECG ელექტროდები, სტეტოსკოპები, ასევე კლინიკურ ბაზაზე - პაციენტის მონიტორები, კარდიოგრაფები/კარდიოტოკოგრაფები, დეფიბრილატორები, ხელოვნური სუნთქვის აპარატები, საინფუზიო პამპები და ინფუზომატები, ექსპრესლაბორატორიის აპარატურა და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსსმ/შშმ პირები საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაიშვებიან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე; კრედიტი ენიჭებათ მხოლოდ სწავლის შედეგების ფაქტობრივი დადასტურების შემთხვევაში.

კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმის ამოქმედება ხდება საჭიროების შემთხვევაში და ამზადებს კონკრეტულ სტუდენტზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს . ეს ვრცელდება არა მხოლოდ სსსმ/შშმ სტუდენტებზე, არამედ სტატუსაღდგენილ, მობილობით გადმოსულ ან პროგრამის/სტანდარტის ცვლილებით დაზარალებულ სტუდენტებზეც. ინდ. გეგმა წარმოადგენს პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი შედეგების თვისობრივ/რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლება-შეფასების მიდგომის ცვლილებას შედეგების უცვლელად დატოვებით) და უნდა შეთანხმდეს სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით. ასევე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსების ინდივიდუალური ადაპტირება (დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, შინაარსობრივი/ვიზუალური ადაპტირება).

სტუდენტის მიერ მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს რამდენჯერმე ეძლევა შედეგის გადაბარების უფლება განსაზღვრულ ვადებში , ხოლო თუ ვერ დადასტურებული მოდული არ წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოამზადოს და ცალკე მოითხოვოს შეფასება პროგრამის დასრულებამდე. ასევე გათვალისწინებულია ისეთი ინდივიდუალური გარემოებები, როგორიცაა გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეული გამოუცხადებლობა.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის განმავლობაში იღებს ინდივიდუალურ კონსულტაციასა და უკუკავშირს პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლისგან; შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირება ხდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით. ხოლო შუალედური შეფასების არჩატარებისას საპატიო მიზეზების (ჯანმრთელობა, ოჯახური გარემოება, ფორსმაჟორი) გათვალისწინებით სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით ჩაერთოს პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და ადგილზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღწერილი მექანიზმი პრაქტიკულადაც გამოიყენება და არ წარმოადგენს მხოლოდ დეკლარაციულ ჩანაწერს. პროფესიული სტუდენტების მაგალითზე (კომისიის 2024 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი №255) გამოვლინდა კონკრეტული პრეცედენტი, როდესაც სტუდენტებისთვის რეალურად შემუშავდა ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გეგმა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის "ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება" პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკურ ბაზებთან თანამშრომლობა დადასტურებულია ოთხი გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია კოლეჯის დირექტორისა და შესაბამისი კლინიკური ბაზის დირექტორის/უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებულია მხარეთა ბეჭდებით:

1. შპს „ამერიქან ჰოსპიტალ ნეთვორქი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულება (ქ. თბილისი, 2026 წლის 25 მაისი, N25);
2. შპს „მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევის ცენტრთან" გაფორმებული ხელშეკრულება (ქ. თბილისი, 2026 წლის 27 მაისი, N26);
3. „კლინიკა ვიანთან" გაფორმებული ხელშეკრულება (ქ. თბილისი, 2026 წლის 10 ივნისი, N83);
4. შპს „კლინიკა ღია გული"-საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან გაფორმებული ხელშეკრულება (ქ. თბილისი, 2026 წლის 29 მაისი, N29).

თითოეული ხელშეკრულება შედგენილია ერთგვაროვანი სტრუქტურით (მუხლი 1 - ხელშეკრულების საგანი; მუხლი 2 - მხარეთა უფლება-მოვალეობები; მუხლი 3 - სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა და პროგრამის განხორციელების ადგილი; მუხლი 4 - კლინიკური სწავლების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის - ექთნის ვალდებულებები; მუხლი 5 - აქტები; მუხლი 6 - მოქმედების ვადა; მუხლი 7 - დასკვნითი დებულებები) და პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი მიზანია კოლეჯის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება" ჩარიცხულ სტუდენტთა კლინიკური სწავლების მოდულ(ებ)ის განხორციელების წესსა და პირობებზე შეთანხმება.

წარმოდგენილი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული, თითოეულ პრაქტიკის ობიექტს რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში ზეპირად განმარტეს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან სტუდენტთა კვოტაზე შეთანხმებულნი არიან, მათ მიერ უკვე განხორციელებული იყო ხელშეკრულებებში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხრვა, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტებთან გადმოგზავნილი ხელშეკრულებები შეიცავდა ტექნიკურ ხარვეზს (პრაქტიკის ობიექტთან შეთანხმებული და დაკონკრეტებული კვოტა ასახული იყო არა ინგლისურენოვანი პროგრამის ხელშეკრულებებში არამედ მექანიკურად დაწესებულების მიერ ქართულენოვან ხელშეკრულებებში იყო შესწორება შეტანილი) რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 02.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს. მითუმეტეს რომ დაწესებულებას უკვე გადაგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები და ორ პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში აღმოფხვრილია ხარვეზი. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მოიცავს დაწესებულებაში არსებულ ზოგად, ყველა პროგრამისთვის საერთო უსაფრთხოების ნორმებს (ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ნარჩენების მართვა).

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ არ დადასტურდა დაწესებულების მიერ დამტკიცებული დარგობრივი უსაფრთხოების წესების არსებობა - შესაბამისი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა. თუმცაღა, ინტერვიუს ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საექთნო განათლების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დარგობრივი უსაფრთხოების საკითხი (მათ შორის, ბიოლოგიური/ინფექციური მასალების, სამედიცინო ნარჩენების, სტერილიზაციისა და კონტამინაციის რისკებთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნები) მოწესრიგებულია. C სასწავლო გარემოში ვიზუალურად განთავსებულია სამედიცინო პერსონალის ბროშურიდან პლაკატები, რომლებიც ასახავს დარგობრივი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას.

რაც შეეხება სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ნარჩენებს, დაწესებულებამ წარმოადგინა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ შპს „სლოვ გლობალ სერვისთან" გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნარჩენების მართვის საკითხი გატანილია გარე მომსახურებაზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2026 წლის 8 ივნისს და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
მთლიანობაში ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენილი ინფორმაცია (დარგობრივი უსაფრთხოების წესი) არ იყო საკმარისი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N268, 02.09.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №180 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის სასწავლო გეგმა (დანართი №3).
- პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (დანართი №1) - მოდულური სტრუქტურისა და კრედიტების საერთო მოცულობის შესადარებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №183 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი №2)
- ორმხრივი ხელშეკრულება კლაიპედას უნივერსიტეტთან (05.04.2022).
- კოლეჯის სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა - student.college.dtmun.ge.
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი (დანართი №2/№5) - სიმულატორები, მულაჟები და დარგობრივი აღჭურვილობა.
- კომისიის 2024 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი №255 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკული გამოყენების დამადასტურებელი პრეცედენტი.
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები:

    1. შპს „ამერიქან ჰოსპიტალ ნეთვორქი" (25.05.2026, №25);
    2. შპს „მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო კვლევის ცენტრი" (27.05.2026, №26);
    3. „კლინიკა ვიანი" (10.06.2026, №83);
    4. შპს „კლინიკა ღია გული"-საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი (29.05.2026, №29).

- შპს „სლოვ გლობალ სერვისთან" გაფორმებული ხელშეკრულება ნარჩენების მართვაზე (08.06.2026).
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დირექტორის ბრძანება N268 02.09.2026

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 17/06/2026 ბრძანება N 167) თანახმად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ ძირითად მოთხოვნას. სისტემა ვალიდურია, როდესაც გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რეალურად ზომავს იმას, რისი დადასტურებაც არის მიზანი ანუ ინსტრუმენტი შერჩეულია კონკრეტული სწავლის შედეგის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგალითად, პრაქტიკული უნარისთვის დაკვირვება, თეორიულისთვის გამოკითხვა). სანდოობა გულისხმობს, რომ მიღებული შედეგები დასაბუთებულია და გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებით, დამოუკიდებლად იმისგან, თუ ვინ ან როდის ახორციელებს შეფასებას. სამართლიანობა ნიშნავს შეფასების პროცედურის კეთილსინდისიერებასა და მიუკერძოებლობას ყველა სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართ. გამჭვირვალობა გულისხმობს, რომ შესაფასებელი კომპეტენციები, შეფასების ჩატარების დრო, დადასტურების პირობები და მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი და საჯარო. ობიექტურობა კი გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორებს შეფასების პროცესში და უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას ყველა შესაფასებელი პირისადმი, მიუხედავად შემფასებლისა.

ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს, სანამ ის რეალურად გამოყენებული იქნება სტუდენტების შესაფასებლად. ინსტრუმენტის შემუშავება სამ ეტაპად მიმდინარეობს: მომზადება/შერჩევა, შემუშავება და ვალიდაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე, მომზადებული ინსტრუმენტი წარუდგინოს სასწავლო დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებს მის ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროცესში რთავს დარგის სპეციალისტსაც. თუ ვალიდაციისას გამოვლინდება ხარვეზი, ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს შენიშვნებით/რეკომენდაციებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვარიანტი. მხოლოდ ვალიდაციის პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ იძენს ინსტრუმენტი გამოყენების უფლებას.

შეფასების წესი ასევე აწესრიგებს შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარებისა და ადმინისტრირების პროცესს.

შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მექანიზმს და მისი შედეგები არ გამოიყენება სწავლის შედეგების დადასტურების ან კრედიტის მინიჭებისთვის, თუმცა მონაწილეობა სავალდებულოა და წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. შუალედური შეფასება ტარდება მაშინ, როცა სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების 40-60%. თარიღსა და ფორმატს განსაზღვრავს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით, არაუგვიანეს ჩატარებამდე ერთი თვით ადრე, ხოლო სტუდენტი ინფორმირებული უნდა იყოს არაუგვიანეს ერთი კვირისა. შეფასების ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას იმავე პრინციპით, რაც ზოგადად შეფასების ინსტრუმენტებს ეხება. შედეგების შეფასებას ახორციელებს არანაკლებ სამწევრიანი კომისია, რომლის უმეტესობა არ უნდა იყოს ჩართული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში, რაც ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას ემსახურება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით და შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა გასცეს რეკომენდაციები პროგრამის გასაუმჯობესებლად. საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს განმეორებითი შუალედური შეფასება, ხოლო არასაპატიო მიზეზით გაცდენამ შეიძლება გამოიწვიოს სტატუსის შეწყვეტა.

საკვალიფიკაციო გამოცდა არის საბოლოო შეფასების მექანიზმი, რომელზეც სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგის დადასტურების, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემთხვევაში. გამოცდა შედგება ინტეგრირებული ტესტური და/ან პრაქტიკული დავალებებისგან და კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა 75%-იანი ბარიერის გადალახვა. პრაქტიკული ნაწილი ტარდება კოლეჯის „C" გარემოში, კომისიის წევრების თანდასწრებით. საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც შედგება მინიმუმ სამი წევრისგან და სავალდებულოდ მოიცავს დარგის გარე წარმომადგენელს, დადებითი შედეგის საფუძველზე შუამდგომლობს დირექტორთან სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. გამოცდის ორგანიზების პროცესს - დაწყებიდან დასრულებამდე - აწესრიგებს რეგლამენტი (დამკვირვებლის ვალდებულებები, სტუდენტის უფლება-მოვალეობები, გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები).

კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია 5 სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო კომისიასთან, ხოლო შუალედური შეფასების პროცედურული დარღვევის შემთხვევაში - ცალკე სააპელაციო მექანიზმით, რომელსაც თავმჯდომარეობს დირექტორი პირადად და გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენით. ორივე შემთხვევაში, პროცედურის არსებითი დარღვევის დადგენისას, ინიშნება განმეორებითი შეფასების ახალი თარიღი.

ვიზიტის ფარგლებში პროცესებზე პასუხიმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ახორციელებს მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ პროცესებს და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის პრინციპების დაცვას, რაც ასევე დადასტურდა ადგილზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებით (ქართულ ენოვანი საექთნო განთლების პროგრამის ინსტრუმენტები, ასევე, შუალედური და საკვალიფიკაციო) ვალიდაციის პროცესები და სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის მიერ17/06/2026 ბრძანება N 167) ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობას, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განუყოფელ ნაწილს, რომლის მიზანია დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების შემოწმებით , და ეფუძნება იმავე პრინციპებს, რაც თავად შეფასების სისტემას (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა). მექანიზმზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელსაც შეუძლია საჭიროებისამებრ ჩამოაყალიბოს ვერიფიკაციის ჯგუფი დარგის ექსპერტების, პროფესიული მასწავლებლების ან სხვა კომპეტენტური პირების ჩართულობით, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპით. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითობის პრინციპით და მისი შედეგები ფორმდება დასკვნის სახით, რომელიც მოიცავს მიგნებებს, რეკომენდაციებსა და გაუმჯობესების საჭიროებებს, რაც შემდგომ საფუძვლად ედება სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

წესი ასევე ითვალისწინებს რისკების სისტემას ვერიფიკაციის პროცესში. განსაზღვრულია რისკ ფაქტორების ჩამონათვალი (მაგალითად, დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, შესაფასებელთა დაბალი შეფასებები, სტუდენტების/მასწავლებლების/ კურსდამთავრებულების კითხვარები და სხვა), რომელთა საფუძველზეც ვერიფიკაციის ჯგუფი ირჩევს შესაფასებელ სფეროებს. თითოეულ გამოვლენილ გარემოებას ენიჭება რისკის კოეფიციენტი, დაბალი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა), მაღალი (3 ქულა) ან კრიტიკული (4 ქულა) რაც ჯგუფს ეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში. რისკ ფაქტორის შეფასებისას გამოიყენება შემთხვევითობის პრინციპი მოდულში შემავალი ინსტრუმენტების 20%-ის შერჩევა, ხოლო თუ პრობლემატური აღმოჩნდება ინსტრუმენტების უმეტესობა და გამოვლინდება სისტემური დარღვევები, ჯგუფი აფართოებს შემოწმებას და შეისწავლის ყველა ინსტრუმენტს.

ვიზიტის ფარგლებში პროცესებზე პასუხიმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება რეალურად ახორციელებს მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ პროცესებს და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ნიმუშად შესწავლილ იქნა დაწესებულების პრაქტიკა, სადაც გამოიკვეთა რომ დაწესებულება რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ ერთ პროგრამას ახორციელებს (საექთნო განათლება) ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფმა 100% დაფარვით განახორციელა ყველა მოდულის ყველა ინსტრუმენტის ვერიფიკაცია.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შეფასების წესის მიხედვით, სასწავლო დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. შეგროვებული მტკიცებულებები, რომლებიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ინახება სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაცია მტკიცებულებები ინახება შეფასების განხორციელებიდან სამი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, გასანადგურებელი დოკუმენტების განადგურება ხდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. განსხვავებით მტკიცებულებებისგან, თავად შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში მტკიცებულებები წარედგინება საკვალიფიკაციო კომისიას სტუდენტის პორტფოლიოს სახით, რის შემდეგაც გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შეფასების წესის თანახმად, შეფასების შედეგები არ არის მხოლოდ ფორმალური ჩანაწერი, არამედ წარმოადგენს ინსტრუმენტს სტუდენტისა და საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისთვის. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების მონიტორინგს და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა მიიღოს უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის პირობებში. კონკრეტული სტუდენტის შედეგები განიხილება ინდივიდუალურ შეხვედრაზე, ხოლო ჯგუფური შედეგები წარმოდგენილია განზოგადოებულად, თუ სტუდენტისგან არ არსებობს საწინააღმდეგო მოთხოვნა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი . დამტკიცებულია 17/06/2026 ბრძანება N 167,
- ვალიდაციის და ვერიფიკაციის რეალური პრაქტიკის მტკიცებულებები.
- ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.09.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: